პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 202 (7513)

1983 წ. 22 ოქტომბერი. შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

გეპატიჟებით სუფთა ჰაერზე — ბაღებში, პარკებში, სტადიონებზე, სპორტულ მოედნებზე!







# შენი დასვენების დღე

დასვენების კულტურა... ეს თემა კარგა ხანია სოციოლოგთა ყურადღების ობიექტად იქცა, დიდი ხანია ადამიანები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ნორმალური სასიცოცხლო ტონუსის შესანარჩუნებლად აუცილებელია თავისუფალი დროის მესამედი მაინც ფიზკულტურას, სპორტს, ტურიზმს დავუთმოთ. ამ პატარა საგაზეთო წერილში სწორედ დასვენების დღეზე, ანუ თავისუფალ დროზე, ამ დროის ნაყოფიერად გამოყენების შესაძლებლობასა და საჭიროებაზე გვინდოდა ორიოდე სიტყვა გვეთქვა.

დიახ, ძველისძველი ჭეშმარიტებაა — მოძრაობა, ფიზიკური აქტიობა განუყოფელია სიცოცხლის ცნებასთან. იშვიათად, რომ ვინმე ამ ჭეშმარიტებას არ ალიარებდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბლომად არიან ისეთებიც, ვისაც პირადი ინერტულობა თუ გულგრილობა ვერ დაუძლევია, ვერ შელევია საოჯახო კომფორტს და მზად არის დასვენების დღე სავარძელში, ტელევიზორთან გაატაროს. კომფორტი თავისთავად მშვენიერი რამ არის, ოღონდ მის „ტყვეობაში" არ უნდა მოექცე, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ მოძრაობა, მზე, ჰაერი, წყალი უფრო აუცილებელი და სასარგებლოა, ვიდრე ის რბილი სავარძელი. ვიყოთ გულახდილნი, მკითხველო: ზოგჯერ ტყუიხარ შენი თავის, შენი ჯანმრთელობის წინაშე, მაშასადამე — შენი შვილების, ოჯახის, საზოგადოების წინაშე. ალბათ ზოგჯერ ისინიც ტყუიან, ვისაც შენი კეთილდღეობისთვის ზრუნვისთვის ხელფასს უხდიან, ვისთვისაც აქტიური დასვენების ორგანიზაცია სამსახურეობრივი მოვალეობაა. ამ უბანზე შეიძლება ბევრი რამ მოსაგვარებელია, ისიც ცხადია, რომ რაც არ უნდა მოინდომონ მასობრივი ფიზკულტურის ორგანიზატორებმა, შენი სურვილისა და ინიციატივის, შენი აქტიურობის გარეშე არაფერი გამოვა. დასვენების დღე შენ გეკუთვნის და არჩევანიც შენზეა: გნებავს სახლში დაჯდები, გნებავს — ტურისტულ ბილიკს დაადგები. ძალას ვერავინ დაგატანს, გადამწყვეტი სიტყვა შენ გეკუთვნის, შენვე უნდა გადადგა ნაბიჯი მაცდური უმოძრაობიდან აუცილებელი მოძრაობისაკენ. ვიცით, ამ ნაბიჯის გადადგმა მთლად იოლი არ არი, ერთი ხანობა შეიძლება გაგიჭირდეს, წინააღმდეგობას წააწყდე, მაგრამ მერე და მერე, როცა მოძრაობა, აქტიური დასვენება ჩვევად, მოთხოვნილებად გადაგექცევა, შაბათ-კვირას სახლში ვერ დადგები. სწორედ შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევაა მთავარი, სხვა დაბრკოლება, ალბათ, არც არსებობს — მუხლის გასამართავ, ბურთის გასაგორებელ ადგილს ყველგან იპოვის კაცი.

შეიძლება არაერთხელ გაგჩენია კიდეც სურვილი, დასვენების დღე ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე გაგეტარებინა, მაგრამ ცხოვრების „დაკანონებული" წესი გბოჭავდა, ან კიდევ იმის ქვეცნობიერი შიში — ვინმეს დასაცინი არ გავხდეო. სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში ასეც ხდება: კაცი თუ დარბის, ვარჯიშობს, რაღაცნაირი ეჭვით უყურებენ ხოლმე და ესეც მიზეზია იმისა, რომ სპორტულფორმიანებს ისევე იშვიათად ვხვდებით, როგორც მამა-პაპურ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილებს... ამ დროს კინაღამ მთელი ევროპა „დარბის", ველოსიპედზეა „ამხედრებული". ადამიანები შეგნებულად გაურბიან კომფორტს, უმოძრაობას — ჩვენი საუკუნის ყველაზე საშიშ მტერს. ჰელსინკი სანახევროდ ცარიელდება დასვენების დღეებში, ლონდონში ყოველ შაბათ-კვირას იმართება ეგრეთწოდებული სახალხო კროსები, აგერ, მინსკში, საცხოვრებელ ადგილებთან მოწყობილი ჯანმრთელობის კომბინატები ვერ იტევს მსურველებს. სწორედ მინსკელი სტუმარი იყო, თბილისის ზღვაზე რომ ავიყვანეთ და გაკვირვებული იმეორებდა: რა კარგი ზღვა გქონიათ და ხალხი რატომ არ დადისო. თბილისის გარეუბნებში მართლაც მშვენიერი პირობებია იმისათვის რომ შაბათ-კვირაობით ამ ადგილების სტუმრები გავხდეთ. თბილისშიც და რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებშიც, სადაც ასევე იშვიათად შეხვდებით აქტიური დასვენების მოყვარულებს.

...მკითხველო, შენ კარგად იცი ვისთვის და რისთვის იწერება ეს სტრიქონები, კარგად იცი ფიზკულტურისა და სპორტის ფასიც, შენ უეჭველად გინდა ყველაზე ჯანმრთელი და მხნე იყო და თუ აქამდე ყოყმანობდი, იქნებ ახლა სცადო — დღეს, ხვალ, მომავალ შაბათ-კვირას. გამოდი გარეთ, უფრო დაუმეგობრდი სპორტს, ფიზკულტურას — იარე, ირბინე, ივარჯიშე და თუ ასე გააკეთებ, დარწმუნებული იყავი — შენი დასვენების დღეს უკვალოდ არ ჩაუვლია.

# ზემარათონელი გადარბენის ფინიში

რბენის მოყვარულთა კლუბის „კუს" წევრებს ზემარათონულ გარბენებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. 17 ოქტომბერს ისინი კვლავ ზეგრძელ დისტანციაზე გამოვიდნენ — გადაწყვიტეს ასე აღენიშნათ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. რედაქციაში გვეწვია თ. გელდიაშვილი, რომელმაც მოკლედ მოგვითხრო ამ პროპაგანდისტულ-სპორტული ღონისძიების შესახებ:

— ჩვენმა ჯგუფმა სტარტი 17 ოქტომბერს საქართველოს სასაზღვრო სოფელ ლარსში აიღო. გადარბენის პირველი ეტაპი ლარსი — დუშეთი, რომლის სიგრძე 80 კილომეტრზე მეტია, 8 საათში დავფარეთ. გარბენის 5 მონაწილეს ყოველი ათი კილომეტრის შემდეგ სხვები ცვლიდნენ. დუშეთში კარგად დავისვენეთ, რადგან მეორე ეტაპი, დუშეთი—საგარეჯო (თბილისის გავლით) უფრო გრძელი იყო, 110 კილომეტრს აღწევდა. საგარეჯოში ადგილობრივ მშრომელებს და მოსწავლე ახალგაზრდობას შევხვდით. ყველაზე ძნელი გამოცდა გადარბენის მესამე დღეს, 19 ოქტომბერს გველოდა: საგარეჯოდან თელავამდე ხომ 120 კილომეტრამდეა. თელავშიც შეხვედრა მოგვიწყვეს. ერეკლეს ძეგლთან გაიმართა მიტინგი. მეორე დღეს გომბორის გავლით თბილისში დავბრუნდით. ფინიში მტკვრის სანაპიროზე, 300 არაგველის ობელისკთან გვქონდა (იხ. სურათი). ჯგუფის წევრები გადარბენის შემდეგ ისევე მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდნენ, როგორც დასაწყისში. დახმარებისათვის მადლობა გვინდა ვუთხრათ პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს და ხსს „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებს, ფიზკულტურის რესპუბლიკური დისპანსერის თანამშრომლებს, ტურიზმისა და ექსკურსიების ბიუროს მძღოლი, ყველასთვის საყვარელი ძია სერგო, რომელიც მოუშორებლად თან მოგვყვებოდა, ჩვენი კლუბის წევრადაც მივიღეთ.



სურათზე: რბენის მოყვარულთა კლუბის „კუს" წევრები ახლახანს მოვიდნენ ფინიშთან — 300 არაგველის ობელისკთან.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# რუბრიკის პრემიერა

„მგლის მუხლი"

დღეიდან „ლელოს" რედაქცია მკითხველებს — გულშემატკივრებს, სპორტსმენებს, მწვრთნელებს — სთავაზობს ახალ რუბრიკას: „მგლის მუხლი".

ამ რუბრიკით გაზეთის ფურცლებზე ძირითადად დაიბეჭდება მასალები ნორჩი მძლეოსნების აღზრდის პრობლემებზე, ქართული მძლეოსნობის აღორძინების გზებსა და მისი განვითარების შესაძლებლობებზე, მსოფლიოს აღიარებულ სპორტსმენებზე.

რედაქცია თხოვნით მიმართავს რესპუბლიკის ყველა სპეციალისტს წერილობით მოგვაწოდოს თავისი წინადადებები, მოსაზრებები, წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება, რის შემდეგ საყურადღებო სტატიები დაისტამბება სწორედ ამ რუბრიკით.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. მიხეევის წერილს, რომელშიც მოზარდი სპორტსმენის აღზრდაზეა საუბარი.

(იხ. მე-2 გვ.).

# ვულოცავთ ბათუმის „დინამოს"

ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელებმა წლეულს წარმატებით ჩაატარეს II ლიგის IX ზონის საკავშირო გათამაშება. ისინი კარგა ხანს ლიდერობდნენ და ბოლოს ლენინაკანში ადგილობრივ „შირაკთან" მოპოვებული გამარჯვებით დააგვირგვინეს თავიანთი დიდი წარმატება.

ჩვენი გაზეთის მკითხველები, ფეხბურთის მოყვარულები, მთელი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა გულითადად ულოცავს ბათუმის დინამოელთა სახელოვან კოლექტივს ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას და წარმატებას უსურვებს შემდგომ, კიდევ უფრო ძნელ ტურნირში, რომელიც გაისად I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობის საგზურს იძლევა.

## კითხვა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს

სპორტის ისეთი პოპულარული სახეობა, როგორიცაა კრივი, არასოდეს ყოფილა ესოდენ სავალალო მდგომარეობაში საქართველოში, როგორც დღეს. ეს ნათლად დაადასტურა სულ ახლახან ჩატარებულმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამაც. და ეს მაშინ, როცა რესპუბლიკაში ყოველთვის იყვნენ საერთაშორისო კლასის მოკრივეები. არც არის საჭირო შორს წასვლა, გავიხსენოთ ახლო პერიოდი: დ. კვაჭაძე, ა. ხიზანიშვილი, მ. თაქთაქიშვილი და სხვ. ისიც ახსოვს კრივის გულშემატკივრებს, რომ თბილისში და ქუთაისში კრივში შეჯიბრებებს ხალხის ზღვა აწყდებოდა. ნელ-ნელა იკლო დაინტერესებამ. ბოლო წლებში თითებზე თუ ჩამოვთვლით საინტერესო შეჯიბრებებს, რომელთა უკანასკნელი აკორდი — საკავშირო ჩემპიონატი ამ რამდენიმე წლის წინათ ჩატარდა, ალბათ საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებების არჩატარებაცაა საქართველოში კრივის დაკნინების მიზეზი. მიზეზები უნდა ვეძიოთ ბავშვთა კრივის ორგანიზაციის სისუსტეშიც და სხვა და სხვა.

გამოსწორდება თუ არა ასეთი მდგომარეობა, არსებობს იმედი? რა ღონისძიებებს მიმართავს საქართველოს სპორტკომიტეტი?

# რამ განაპირობა ჩამორჩენა?

ბოლო დროს რესპუბლიკაში კრივის განვითარება შესამჩნევად ჩამორჩა. ამის მიზეზია სპორტის ამ სახეობის განვითარებაში არსებული უგეგმობა, მთელი მუშაობის თვითდინებაზე მიშვება და უკონტროლობა, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელთა მხრივ მომთხოვნელობის შესუსტება, სპორტის ამ სახეობის ფორმალური დანერგვა.

საქართველოს სსრ კრივის ფედერაცია, სპორტსაზოგადოებები და უწყებები, ქალაქები და რაიონები პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის. კრივის ბევრი სპეციალიზებული სპორტული დარბაზი ვერ გახდა კრივის პროპაგანდის ცენტრი, ისედაც ცუდად აღჭურვილ ბაზებში არ არის აღდგენითი და სარეაბილიტაციო ცენტრები (თბილისში, ბათუმში, ფოთში, რუსთავში, ახალციხესა და სხვ.), იშვიათად ტარდება საგიტაციო ხასიათის შეჯიბრებები: „ღია რინგი“, ქალაქებს, სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის ამხანაგური შეხვედრები სამივე ასაკობრივ ჯგუფში.

ბოლო დროს, გამოცდილთა დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ, რესპუბლიკაში იგრძნობა მწვრთნელების ნაკლებობა. ახალგაზრდებს ჯერ კიდევ არ შეუძენიათ რესპუბლიკაში კრივის განვითარების საკითხების გადაჭრის გამოცდილება. თბილისელ კრივის მოყვარულებს დიდი ხანია არ უნახავთ ისეთი შეჯიბრებები, როგორიცაა სამატჩო შეხვედრა ქვეყნის რომელიმე რესპუბლიკის ნაკრებ გუნდთან, თბილისში არ ტარდება საკავშირო შეჯიბრებები და ტურნირები სამივე ასაკობრივ ჯგუფში; რესპუბლიკურ შეჯიბრებებს უწყებები და საქალაქო სპორტკომიტეტები უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად ატარებენ; ძალზე დაბალია შეჯიბრების მსაჯობის დონე, სისტემატურად არ იმაღლებენ კვალიფიკაციას მწვრთნელთა და მსაჯთა კადრები. სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების უფროს მწვრთნელთა უმრავლესობა შეთავსებით მუშაობს, მაგალითად, ქ. ბაბახანიდი („სპარტაკი“), გ. ბუმბიაშვილი („დინამო“), ა. ხატოევი („კოლმეურნე“), „განთიადში“ კი საერთოდ არ არის კრივში უფროსი მწვრთნელის თანამდებობა.

როცა რესპუბლიკის ნაკრების ღირსებას იცავდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის 1977 წლის ჩემპიონი დ. კვაჭაძე, სსრ კავშირის ჩემპიონი ა. ხიზანიშვილი და არაერთგზის პრიზიორი მ. თაქთაქიშვილი, ჩვენი რესპუბლიკის გუნდი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე VII-VIII ადგილებზე გადიოდა, ადრე სპარტაკიადის წინ ქვეყნის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების არმიელ სპორტსმენებსაც იწვევდნენ. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობდნენ რსფსრ-ისა და უკრაინის არმიელი მოკრივეები — ვ. ულიანიჩი, ვ. გოროდილოვი, ვ. დიულინი, ცეროიანი, ზოლოტარიოვი და სხვ. მათგან ორი სპარტაკიადის ფინალში გავიდა, ხოლო ერთმა III საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ქართული კრივის ლიდერთა წასვლამ და სხვა რესპუბლიკებიდან მოკრივეთა მოწვევის შეწყვეტამ რესპუბლიკაში კრივის ნამდვილი მდგომარეობა წარმოაჩინა. განსაკუთრებით ნათელი გახდა საქართველოს ნაკრების სისუსტე 1982 წლის III საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე და წლეულს სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადაზე, სადაც რესპუბლიკის ნაკრები გუნდები (იუნიორები და მოზრდილები) მეტად არასახარბიელოდ გამოვიდნენ.

III საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისა და სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადის შედეგების საფუძველზე რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა მიიღო დადგენილებები, რომლებიც ითვალისწინებენ კონკრეტული ღონისძიებების გატარებას რესპუბლიკაში კრივის განვითარების ძირფესვიანი გაუმჯობესებისთვის.

ადრე მიღებულ დადგენილებათა საფუძველზე რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა მუშაობა კრივის განვითარებაში არსებული არსებითი ნაკლოვანებების შესასწავლად და აღმოსაფხვრელად. ამასთან დაკავშირებით შეისწავლება: თუ როგორ ვითარდება კრივი რესპუბლიკაში, საქართველოს სპორტკომიტეტის ყველა ქვესაუწყებო ორგანიზაციაში; ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლების მუშაობა. მიმდინარეობს კრივის სპორტდარბაზების მოდერნიზაცია და აღჭურვა. საქართველოს სპორტკომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე შემოიზიდა აღჭურვილობა და ინვენტარი. 1982 წელს მესტიისა და ბათუმის კრივის სკოლებს გადაეცათ ოლიმპიური რინგი და სპორტული ინვენტარი. სპეციალიზებული სკოლების მოთხოვნები ინვენტარის თაობაზე დაკმაყოფილებულია.

კრივის ჯგუფები გახსნილია მესტიაში, გორში, ტყიბულში, ჭიათურაში. მესტიაში სამუშაოდ გამწესებულია სპორტის ოსტატი გ. პეტროვი, რომელიც დაეხმარება საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ა. ჯაფარიძეს. გაუმჯობესდა ჭაბუკთა შორის მაღალკვალიფიციურ თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადება „ლოკომოტივში“, „შრომით რეზერვებში“ და „ბურევესტნიკში“, რის შედეგად საკავშირო პირველობაზე რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების 10 სპორტსმენი იასპარეზებს.

1982-83 წლებში თბილისში ჩატარებულმა საერთაშორისო ტურნირებმა საქართველოს სპორტსმენებს ასეთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში ასპარეზობისა და თავის გამოჩენის საშუალება მისცა. ჩემპიონობა მოიპოვეს ა. კაზანჯიანმა და ნ. მღებრიშვილმა. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა „თვალი დაადგეს“ ქუთაისელ მძიმეწონის ა. ჯიმშელეიშვილს და თბილისელებს ხ. ხიდირიანსა და კ. კოტოიანს.

ქუთაისში, კრივის სპეციალური დარბაზის ექსპლოატაციაში შესვლასთან დაკავშირებით გაუმჯობესდა მაღალკვალიფიციურ ჭაბუკ მოკრივეთა მომზადება. მაგალითად, „ლოკომოტივის“ სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ცენტრალური საბჭოს პირველობაზე და ახლა მონაწილეობას მიიღებენ წლევანდელ საკავშირო პირველობაში, რომელიც ულიანოვსკში გაიმართება ჭაბუკთა შორის.

ქუთაისში ყურადღება მიიქცია ნიჭიერმა მ. შალამბერიძემ (ქვემძიმე წონა), რომელიც 1982 წელს საკავშირო პირველობის პრიზიორი გახდა ახალგაზრდებს შორის და გაიმარჯვა 1983 წელს ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და ასპარეზობს საკავშირო თასის გათამაშებაში, რომელიც ახლა ნოვოროსიისკში მიმდინარეობს.

წლეულს რესპუბლიკაში ჩატარებულ სამ საკავშირო ტურნირში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა ჩვენი რესპუბლიკის სამმა სპორტსმენმა.

საქართველოს სპორტკომიტეტის მიერ დაგეგმილი სპორტული ღონისძიებები კრივში დროულად ტარდება, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებზე, ქალაქებსა და რაიონებზე.

დაიწყო და გრძელდება მწვრთნელთა შემადგენლობის დაკომპლექტება. მაგალითად, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან სამწვრთნელო სამუშაოზე დაბრუნდა ნიჭიერი მწვრთნელი გ. ხაჩატუროვი, მისი აღზრდილი ა. კაზანჯიანი საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში პირველ ნომრად ემზადება იუნიორთა მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც სანტ-დაგო-დომინგოში გაიმართება. ხაჩატუროვის ხუთმა აღზრდილმა გაიმარჯვა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე და ახლა მონაწილეობას მიიღებენ ულიანოვსკის საკავშირო პირველობაზე.

თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში გახსნილია კრივის განყოფილება. აქ ჩაირიცხნენ პერსპექტიული მოკრივეები მესტიიდან, ხოლო ტექნიკუმში მწვრთნელ-მასწავლებლად სამუშაოდ მივლინებულია სკკპ წევრი დ. ქავთარაძე, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი, კრივის მწვრთნელის სპეციალობით.

ასკ-ში გახსნილია კრივის განყოფილება, სადაც სამუშაოდ გაიგზავნა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ი. ხატიაშვილი. „შრომითი რეზერვების“ ბაზაზე გაიხსნება ოლიმპიური მზადების ცენტრი.

ამრიგად, ჩვენს სპორტსმენებს შესაძლებლობა აქვთ რესპუბლიკიდან გაუსვლელად ისწავლონ და სრულყონ თავიანთი სპორტული ოსტატობა, წინათ კი ნიჭიერ სპორტსმენებს, საკავშირო პირველობის გამარჯვებულებს, სპორტის ოსტატებს, სსრ კავშირის ნაკრების წევრებს ი. სავოჩკინს, ს. სუშინს, ი. მარგიანს ამის საშუალება არ ჰქონდათ, ისინი სხვა რესპუბლიკებში მიდიოდნენ სავარჯიშოდ.

**შ. ქველიაშვილი,**
**საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.**

„მგლის მუხლი“

# ვარჯიშობს მოზარდი

ნორჩ სპორტსმენთა აღზრდა იმიტომაა რთული, რომ მწვრთნელები ყოველთვის ვერ ითვალისწინებენ იმ ცვლილებებს, რაც ახასიათებს მოზარდთა ასაკს, არ ეცნობიან პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ახალ გამოკვლევებს.

მაგალითად, მეცნიერები მიუთითებენ ისეთ ფენომენზე, როგორიცაა აქსელერაცია — ფსიქიკური, ფიზიკური, გონებრივი განვითარების დაჩქარება. ამაზე ბევრი დაიწერა. ჩვენ, პედაგოგებს უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელი ბავშვები „დიდები“ არიან რამდენიმე ათეული წლის წინანდელ თანატოლებთან შედარებით. მოიმატა მათმა სიმაღლემ, წონამ. უმრავლესობა უფრო განვითარებულია ინტელექტუალურად. შეიცვალა მათი ბიოლოგიური ასაკი.

შესაბამისად, საჭიროა შეიქნა არა მარტო ნორჩ მძლეოსანთა მომზადების, არამედ მათი აღზრდის წესების გადასინჯვა. აქსელერაცია უფრო თვალსაჩინოა 13-16 წლის ასაკში. ამ ასაკის ბავშვები უკვე მეცადინეობენ სასწავლო-საწვრთნელ ჯგუფებში, მონაწილეობენ შეჯიბრებებში, მიდიან შეკრებებზე, მიემგზავრებიან სხვა ქალაქებში. ნორჩი მძლეოსნებისთვის მწვრთნელი არის უფროსი ძმა, უახლოესი ამხანაგი, ვისაც შეუძლიათ გაანდონ ყველაზე სათუთი საიდუმლოებანი.

ამ ასაკში თავს იჩენს ახალი, რთული მოვლენა — „მოზრდილობის გრძნობა“. მოზარდებისთვის ორიენტირი ხდება მოზრდილთა ქცევის ნორმები. ე. ი. ამ პერიოდში მათ უნდა მიიღონ ქცევის ჭეშმარიტი, სწორი ნორმები და არა მოჩვენებითი.

პირველები, ვინც ამ ნორმებს აჩვენებენ, არიან მშობლები, მასწავლებლები, მწვრთნელები. მაგრამ ყოველთვის სწორ ორიენტაციას როდი ვაძლევთ ბავშვებს. ზოგიერთი მოზარდი იწყებს სიგარეტის წევას, ხმარობს უცენზურო სიტყვებს.

„საიდან მოიტანა მან ეს?“ — ვკითხულობთ ჩვენ. რა თქმა უნდა უფროსებისგან. ისინი თითქოს ჩვენ გვეუბნებიან: როგორც თქვენ, მოზრდილები აკეთებთ, ჩვენც ისე გავაკეთებთ, მიგვიღეთ თქვენს წრეშიო. ქცევის საჭირო ნორმების დარღვევისთვის მოზარდებს ლანძღავენ, აკრიტიკებენ. მწვრთნელებმა კი პირველ რიგში უნდა აჩვენონ ქცევის სამაგალითო ნიმუში. სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად გვხვდებიან კოლეგებთან, აღსაზრდელებთან ურთიერთობაში უხეში მწვრთნელები, ისეთები, რომლებიც ეტანებიან სპირტიან სასმელებს.

თავისთავად ვარჯიშები და შეჯიბრებები ნორჩი მძლეოსნებისგან მოითხოვს ზნეობრიობასა და ნებისყოფას, იმ თვისებებს, რომლებიც მთავარი ღერძია ადამიანის ცხოვრებაში. საწვრთნელი ვარჯიშის დაგეგმილი მოცულობის შესასრულებლად ნორჩმა მძლეოსანმა უნდა გამოავლინოს შრომისმოყვარეობა, დისციპლინიანობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, სიმტკიცე. ამხანაგებთან ურთიერთობა მისგან მოითხოვს მეგობრობის კოლექტივში ცხოვრების ცოდნას. სიძნელეთა გადალახვა შეუძლებელია სიმტკიცის, სიმამაცის, ვაჟკაცობის გარეშე.

ნორჩ მძლეოსნებში მოზრდილთა ქცევის ნორმების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებსა და სპორტულ ბანაკებში ყოფნა: იქ ბავშვები ეჩვევიან დამოუკიდებლობას. მათ აქვთ განსაზღვრული განრიგი, თავად უვლიან თავს, ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას (მორიგეობა, ეზოს დასუფთავება, სამზარეულოში ფუსფუსი და სხვ.), სწავლობენ როგორ გაატარონ თავისუფალი დრო. სპორტულ ბანაკებში აღზრდის მნიშვნე-



ლოვანი ფორმაა 3-4-დღიანი ტურისტული ლაშქრობები. აქ ნორჩი სპორტსმენები ხშირად ისეთ პირობებში აღმოჩნდებიან, რაც მოზრდილი, დამოუკიდებელი ადამიანის თვისებების გამოვლენას მოითხოვს.

გასათვალისწინებელია ამ ასაკის კიდევ ერთი მომენტი — მოზარდის მისწრაფება თვითდამკვიდრებისკენ. იგი გამოიხატება არა მარტო კარგი, არამედ ცუდი საქციელით. ცნობილი მკვლევარი ა. კრაკოვსკი აღნიშნავს, რომ არამოტივირებული ქცევები მეოთხეკლასელებთან შედარებით V-VI კლასის მოსწავლეების ქცევებში 42-ჯერ იზრდება. ამ ასაკის ბავშვები უფრო ხშირად ჯიუტობენ, ვიდრე მეოთხეკლასელები. ისინი 10-ჯერ მეტად ეწინააღმდეგებიან მასწავლებლებს, 7-ჯერ იზრდება სხვის ნება-სურვილის საწინააღმდეგო ქცევების რაოდენობა. ხშირად ისინი ყოყოჩობენ კიდეც საკუთარი ნაკლოვანებებით. ავტორი ხსნის, რომ ასეთი ქცევები თავს იჩენს უფრო დღის მეორე ნახევარში, დაღლილობის ფონზე იგი ძლიერდება. ეს ის დროა, როცა მოსწავლეები სპორტულ სექციებში მიდიან.

ეს მოქმედებები მოზარდისთვის მოჩვენებითი თვითდამკვიდრების საშუალებაა. ამავე დროს ნორჩ მძლეოსნებში ვარჯიშებზე უდისციპლინობის შემთხვევებს, როგორც წესი, არ ვხვდებით. ეს იმიტომ ხდება, რომ სპორტულ სექციებში ბავშვები თავისი ნებასურვილით მოდიან, გატაცებული არიან სპორტული ვარჯიშებით. ამიტომ სპორტს მოზარდთა თვითდამკვიდრების უამრავი შესაძლებლობა გააჩნია.

ამ ასაკში მოზარდებს აღელვებთ საკითხები: რაშია მათი ცხოვრების აზრი, როგორ წარიმართება მათი მომავალი. დგება გარშემომყოფებთან ურთიერთობის პრობლემები. ამ ასაკის მოსწავლეები ზუსტად ამჩნევენ უფროსების სიტყვისა და საქმის შეუსაბამობას, გულისყურით ადევნებენ თვალს აღმზრდელს. მათ ბევრი რამ იციან და ესმით. შეცდომა იქნებოდა მათთან პატარა ბავშვებივით მოქცევა. ცხოვრების ავ-კარგზე წარმოდგენების სტიქიურ ჩამოყალიბებას ხანდახან იქამდე მივყავართ, რომ 15-16 წლის მოზარდები მსჯელობენ: სწორად იცხოვრო, ნიშნავს იფიქრო მხოლოდ საკუთარ თავზე, ცხოვრებისგან აიღო ყველაფერი და არ გასცე არაფერი, იზრუნო საკუთარ კეთილდღეობაზე. ძალზე ძნელია 17-18 წლის ასაკში ასეთი ჭაბუკებისა და ქალიშვილების გადარწმუნება.

გარდა ამისა, საჭიროა მიზანმიმართულად წარვმართოთ ლიტერატურისადმი, მუსიკისადმი, ხელოვნებისადმი ინტერესი. მწვრთნელებს სხვებზე უკეთ ძალუძთ გავლენა იქონიონ მოზარდებზე ცხოვრებისეული საკითხების სწორად გაგების საქმეში.

მწვრთნელთა და ნორჩ სპორტსმენთა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ბავშვებს ძალზე ცოტა დრო რჩებათ სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ამ პროცესს ხშირად არავინ უწევს კონტროლს, არ მიმდინარეობს სპეციალური აღზრდა.

აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების გზების ძიებაში ყურადღება უნდა მიექცეს ნორჩ სპორტსმენთა ცხოვრების ყველა მხარეს, მათ ოჯახს. მწვრთნელი უნდა იცნობდეს მოზარდის ოჯახურ პირობებს, უნდა იცოდეს როგორ იკვებება იგი, რა სულიერ საზრდოს აწვდიან მას მშობლები.

ოჯახური აღზრდა მტკიცდება და გრძელდება სკოლაში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სასწავლო და საალმზრდელო მუშაობის ცენტრია. იმისთან დაკავშირებით, რომ სპორტში ვარჯიში ხშირად გავლენას ახდენს სწავლაზე, მწვრთნელმა აუცილებლად უნდა იცოდეს მოსწავლეთა მოსწრება, მათი მონაწილეობა პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში. აღმზრდელობითი ზემოქმედების ძლიერი ფაქტორია სპორტული ჯგუფის კოლექტივი. აქ უნდა გამოვლინდეს ნორჩი მძლეოსნის დამოკიდებულება ამხანაგებთან; ჰყავს თუ არა მას მეგობრები ჯგუფში, როგორ აგრძელებს კოლექტივის ტრადიციას, იჩენს თუ არა ინიციატივას, როგორ ასრულებს საზოგადოებრივ დავალებას.

**ა. მიხეევი,**
**პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბათუმის „დინამო“ — ზონის ჩემპიონი

**20 ოქტომბერს** გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ბოლო ტურის შეხვედრები. სწორედ ამ დღეს უნდა გამოვლენილიყო ზონის უძლიერესი გუნდი, რომელიც შემდგომში ბრძოლას გააგრძელებს სხვა ზონებში გამარჯვებულებთან საგაისოდ I ლიგაში მონაწილეობის უფლებისთვის.

ბათუმის დინამოელებმა ლენინაკანში ითამაშეს ადგილობრივ „შირაკთან“. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი გუნდი გაიმარჯვებდა, ხოლო მისი კონკურენტი — აბოვიანის „კოტაიკი“, რომელიც ტყიბულში ხვდებოდა „მეშახტეს“, დაკარგავდა თუნდაც ქულას, ბათუმელები ზონაში I ადგილზე გადიოდნენ.

**ასეც მოხდა: ბათუმის „დინამომ“ გაიმარჯვა დიდი ანგარიშით 3:0, ხოლო „კოტაიკმა“ ტყიბულში ფრედ ითამაშა — 1:1. ზონის საბოლოო ცხრილში ბათუმის „დინამომ“ I ადგილი დაიკავა და მონაწილეობას მიიღებს სამთა ტურნირში, მისი მეტოქეები იქნებიან კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ და ფერგანის „ნეფტიანიკი“.**

**„მეშახტე“ (ტყიბული) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:1 (1:0).**

**ტყიბული. „მეშახტის“ სტადიონი. 20 ოქტომბერი.**

**„მეშახტე“: გოგორელიანი (თოდაძე), რეხვიაშვილი, სილაგაძე, ბზიკაძე, სიუკაევი, ტიშინი, არსენიძე, კანკია, ძაგნიძე, ტროიანი, ბაბუხადია.**

**„კოტაიკი“: გუკასიანი, პეტროსიანი, ახატრიანი, ფარსადანიანი, მოვსესიანი, არუთინიანი (ხაჩატრიანი), სტეპანიანი, ედიგარიანი, ხალაიჯიანი (ოჰანესიანი), ბეგლარიანი, სუქიასიანი.**

**მსაჯი ე. გერასიმენკო (ბაქო).**

**გააფრთხილეს ედიგარიანი, ფარსადანიანი.**

ტყიბულის „მეშახტეს“ II ლიგის დებიუტანტი არ ეთქმის, ვინაიდან ეს გუნდი წარსულ წლებში არაერთხელ ყოფილა საკავშირო გათამაშებათა მონაწილე, მაგრამ წლეულს იგი პირველად დაუბრუნდა ლიგას, ამის კვალობაზე, შესრულა კიდეც გათამაშების მსვლელობაში მის წინაშე დასახული ამოცანა — ლიგაში დარჩენა, მაგრამ ამ დღეს ტყიბულელ ფეხბურთელთა წინაშე სხვა ამოცანაც იყო დასახული, კერძოდ, მათ წარმატებით უნდა ეთამაშათ „კოტაიკთან“, რომელიც საქართველოს სხვა გუნდის — ბათუმის „დინამოს“ კონკურენტი გახლდათ ზონაში გამარჯვებაზე და ამით ბათუმელთათვის საშუალება შეექმნათ განემტკიცებინათ თავიანთი წამყვანი პოზიციები.

ეს მეორე ამოცანა მეტად ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა. „კოტაიკი“ ძლიერი მეტოქეა, მის შემადგენლობაში გამოდის ერევნის „არარატის“ რამდენიმე ყოფილი ფეხბურთელი, გუნდი ტექნიკურად და ტაქტიკურად გამართულად მოქმედებს, გამოირჩევა მოთამაშეთა მაღალი ფიზიკური მომზადებით, ამიტომ მასპინძლებს ძალების მაქსიმალური მობილიზება მართებდათ წარმატების მისაღწევად.

დაძაბულ ბრძოლაში საკმაო ხანს არც ერთ მხარეს არ ჰქონია უპირატესობა, დაცვითი ხაზები აშკარად სჯობდნენ თავდასხმისას, მასპინძლებმა მხოლოდ შუა ტაიმში მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას, რამდენიმეჯერ შორიდან დაარტყეს კარში.

მიმდინარეობდა ტაიმის ბოლო წუთები, როცა „მეშახტის“ ერთ-ერთი იერიშისას სტუმრების მცველებმა საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშეს ძაგნიძის წინააღმდეგ. დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა არსენიძემ — 1:0.

შესვენების შემდეგ დაახლოებით 25 წუთის მანძილზე აბოვიანელი ფეხბურთელები არ მოსცილებიან „მეშახტის“ საჯარიმო მოედანს. შეტევა შეტევას მოსდევდა, „კოტაიკის“ თავდამსხმელებმა და ნახევარმცველებმა მრავალი მომენტი შექმნეს, მასპინძელთა დაცვა გაჭირვებით აუდიოდა მეტოქეთა იერიშებს და აქ შესანიშნავად ითამაშა ცენტრალურმა მცველმა სილაგაძემ, რომლის ენერგიას, უნარს უნდა ვუმადლოდეთ, რომ გუნდმა შეძლო გამკლავებოდა აბოვიანელთა განუწყვეტელ იერიშებს. მაგრამ საპასუხო ბურთი მაინც გავიდა: 59-ე წუთზე მოვსესიანმა შუა მინდვრიდან ძლიერად დაარტყა, მეკარე გოგორელიანი შეფერხდა და ვერ შეძლო ბურთის აღება — 1:1.

მხოლოდ შემდგომში, ბოლო 15 წუთის მანძილზე, შეძლეს ტყიბულელმა ფეხბურთელებმა ძალების მოკრება, იმავე სილაგაძის მეთაურობით მოწესრიგდა საქმეები დაცვაში, როგორც იქნა, „ხელი გამოიღეს“ თავდამსხმელებმაც. საბოლოოდ ბაქოელი მსაჯის ე. გერასიმენკოს სასტვენმა აღნიშნა ფრე — 1:1. ბათუმის „დინამოს“ კონკურენტმა ტყიბულში ქულა დაკარგა.

**ბ. ქორქია.**
**(„ლელოს“ სპეც. კორ.).**

**„დილა“ (გორი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 4:1 (1:1).**

კიროვაბადელმა ფეხბურთელებმა დიდი მონდომებით ითამაშეს დასაწყისში, რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან და მე-14 წუთზე წარმატებასაც მიაღწიეს: ბურთი „დილის“ კარში გაიტანა მიკუჩაძემ — 1:0.

შემდგომში გორელებმა გაათანაბრეს თამაში, ტაიმის დასასრულისთვის კი ბურთიც გაქვითეს (ტიტვინიძე) — 1:1.

შესვენების შემდეგ უპირატესობა მთლიანად მასპინძლებს ეპყრათ, ისინი ხშირად უტევდნენ, ჯერ ხუციშვილმა გაიყვანა წინ თავისი გუნდი, შემდეგ კი საბანაშვილმა და ხორგუაშვილმა წერტილი დაუსვეს „დილის“ გამარჯვებას — 4:1.

**ი. თევდორაშვილი.**
**(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).**

* * *

მოგვყავს ბოლო ტურის ტექნიკური შედეგები: „დინამო“ (სოხუმი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 6:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ყარაბაღი“ (სტეფანაკერტი) 1:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ოლიმპია“ (არტაშატი) 2:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:2, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „კოლხოჩი“ (აშხაბადი) 5:3.

## გათამაშების კალენდარი

**იწყება** II ლიგის ზონებში გამარჯვებული გუნდების ტურნირები, ბრძოლა გაიმართება გაისად I ლიგაში მონაწილეობის უფლებისთვის. სულ შექმნილია 3 ჯგუფი. IX ზონაში გამარჯვებული ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელები ითამაშებენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვსა“ და ფერგანის „ნეფტიანიკთან“ ერთად.

გთავაზობთ ამ ჯგუფის შეხვედრათა კალენდარს:

**23 ოქტომბერი.** „კრილია სოვეტოვი“ — „დინამო“ (ბათუმი).
**27 ოქტომბერი.** „ნეფტიანიკი“ — „კრილია სოვეტოვი“.
**30 ოქტომბერი.** „დინამო“ (ბათუმი) — „ნეფტიანიკი“.
**4 ნოემბერი.** „ნეფტიანიკი“ — „დინამო“ (ბათუმი).
**8 ნოემბერი.** „კრილია სოვეტოვი“ — „ნეფტიანიკი“.
**12 ნოემბერი.** „დინამო“ (ბათუმი) — „კრილია სოვეტოვი“.

## II ლიგა

### გათამაშების ცხრილი

**საბოლოო მდგომარეობა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ ბ. | 32 | 21 | 5 | 6 | 70-23 | 47 |
| „კოტაიკი“ | 32 | 18 | 10 | 4 | 72-40 | 46 |
| „კოლხეთი“ | 32 | 18 | 6 | 8 | 61-41 | 42 |
| „ლოკომ.“ | 32 | 16 | 6 | 10 | 47-27 | 38 |
| „კოლ-ჩი“ | 32 | 16 | 5 | 11 | 53-40 | 37 |
| „მეშახტე“ | 32 | 16 | 4 | 12 | 47-41 | 36 |
| „მერცხ.“ | 32 | 16 | 4 | 12 | 36-32 | 36 |
| „დილა“ | 32 | 15 | 5 | 12 | 48-44 | 35 |
| „შირაკი“ | 32 | 13 | 5 | 14 | 47-46 | 31 |
| „ყარაბ.“ | 32 | 13 | 5 | 14 | 40-39 | 31 |
| „ხაზარი“ | 32 | 12 | 7 | 13 | 41-53 | 31 |
| „დინ.“ ს. | 32 | 12 | 6 | 14 | 38-42 | 30 |
| „ქიაფაზი“ | 32 | 12 | 5 | 15 | 49-58 | 29 |
| „სპარტ.“ | 32 | 10 | 2 | 20 | 35-49 | 22 |
| „ავტომ.“ | 32 | 7 | 6 | 19 | 37-66 | 20 |
| „არაზი“ | 32 | 6 | 5 | 21 | 32-75 | 17 |
| „ოლიმპია“ | 32 | 5 | 6 | 21 | 29-66 | 16 |

## კვლავ გათამაშების ფორმულის შესახებ

**ფეხბურთის** ევროპის საკლუბო გათამაშებები განსაკუთრებული ფორმულით ტარდება. ამის შესახებ ჩვენს გაზეთში რამდენიმეჯერ დაიწერა, მაგრამ რედაქციაში კვლავ ხშირად მოდის წერილები, სადაც ფეხბურთის მოყვარულები გვთხოვენ განვუმარტოთ თუ რა ფორმულით მიმდინარეობს ეს გათამაშება, რა წესით ხდება გამარჯვებულთა გამოვლინება.

ბევრს მიაჩნია, რომ მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთები გუნდებს ორმაგად ეთვლებათ. ეს, რა თქმა უნდა, ასე არაა. ბურთების გაორმაგება ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. მაგალითად, მოსკოვის „სპარტაკისა“ და ბირმინგემის „ასტონ ვილას“ შეხვედრა 19 ოქტომბერს დამთავრდა ანგარიშით 2:2, მაგრამ ინგლისელებმა რომ მეტოქის მინდორზე 2 ბურთი გაიტანეს, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მათ ახლა აქტივში 4 გოლი აქვთ.

ევროპის სამივე საკლუბო ტურნირში ქულებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აქ იმარჯვებს ის, ვინც მეტ ბურთს გაიტანს. თუ გუნდმა, ვთქვათ, ერთი მატჩი წააგო ანგარიშით 0:1 და მეორე მოიგო ანგარიშით 2:0, მათ 2-2 ქულა კი არა აქვთ, ორი მატჩის გამარჯვებულია ის, ვინც 2 ბურთი გაიტანა (სულ — 2:1).

ბურთების გაორმაგება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ორივე მატჩის შედეგად მეტოქეებს გატანილი და მიღებული ბურთების ერთნაირი შეფარდება აქვთ. მეტი სიცხადისთვის მოვიყვანთ მიმდინარე გათამაშების მაგალითებს. დონეცკის „შახტიორმა“ შინ ანგარიშით 1:0 მოუგო ბაზელის „გრასჰოპერსს“. თუ საპასუხო მატჩში შვეიცარიელებმა შინ ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვეს, საერთო მდგომარეობა გათანაბრდება — 1:1. უნდა დაინიშნოს დამატებითი დრო და თუ ამ დამატებით დროში რომელიმე გუნდმა გაიმარჯვა, წარმატება მის მხარეს იქნება. თუ ეს არ მოხდა, ინიშნება დამატებითი პენალტები.

მოსკოვის „სპარტაკმა“ თავის მინდორზე ფრედ ითამაშა ბირმინგემის „ასტონ ვილასთან“ — 2:2. თუ მეორე მატჩი ინგლისელთა მინდორზე დამთავრდა ისევ ფრედ, ვთქვათ, 0:0 ან 1:1, ორივე გუნდს გატანილი და მიღებული ბურთების ერთნაირი რაოდენობა ექნებათ (2:2, ან 3:3), ამ შემთხვევაში მოხდება მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთების გაორმაგება და მაშინ, ცხადია, უპირატესობა მიენიჭებათ ინგლისელებს, მაგრამ საპასუხო მატჩი ბირმინგემში რომ დამთავრდეს ანგარიშით 3:3, ამ შემთხვევაში სპარტაკელთა მიერ გატანილი გაორმაგებული ბურთების რაოდენობა მეტი იქნება, ვიდრე ინგლისელებისა.

არის კიდევ ასეთი ნიუანსიც. ვთქვათ, მეტოქეებმა ორივე მინდორზე, შინაც და სტუმრადაც, ითამაშეს ფრედ — 0:0 და 0:0. დაინიშნა დამატებითი დრო, რომელიც ასევე ფრედ დამთავრდა — 1:1. **დამატებით დროში გატანილი ბურთი სტუმარ გუნდს არ უორმაგდება** და გამარჯვების საკითხს ამ შემთხვევაში 11-მეტრიანები გადაწყვეტს.

● **ფეხბურთი**

## ევროპის საკლუბო ტურნირები

# მატჩები საბჭოთა გუნდების მონაწილეობით

**ევროპის** მიმდინარე საკლუბო გათამაშებას ჩვენი ქვეყნიდან, როგორც ცნობილია, შემორჩა 3 გუნდი, აქედან მოსკოვის „სპარტაკი“ (უეფა-ს თასი) და დონეცკის „შახტიორი“ (თასების თასი) 19 ოქტომბერს შინ თამაშობდნენ, ხოლო მინსკის დინამოელები (ჩემპიონთა თასი) ქ. დიერში ხვდებოდნენ უნგრეთის ჩემპიონს „რაბა“ ეტო-ს. და მოხდა ისე, რომ სწორედ იმ გუნდებმა, რომლებიც შინ გამოდიოდნენ, ვერ შეიქმნეს საიმედო გარანტია 2 ნოემბრის საპასუხო მატჩებისთვის, მინსკის დინამოელებმა კი სტუმრად მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 6:3.

„რაბა“ ეტო-მ არსებითად ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია „დინამოს“, რომელიც არნახული აღმავლობით თამაშობდა. მინსკელმა სოკოლმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში 3 ბურთი გაიტანა უნგრელთა კარში, რასაც მათ მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს (ჰანიხი, პენალტით). მასპინძლებს შესვენებამდე კიდევ ერთხელ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან კურნენინის ზუსტი დარტყმის შემდეგ.

მეორე ტაიმში გოცმანოვმა და რუმბუტისმა კიდევ 2 ბურთი გაიტანეს, ხოლო მასპინძლებმა, აგრეთვე, 2 (სენტეში, საბო).

უფრო რთული ამოცანის წინაშე იმყოფებიან დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელები. მათ ძნელი მატჩი ჰქონდათ შინ ჟენევის „სერვეტთან“, რომელიც რაციონალურად, ტაქტიკურად გამართულად მოქმედებდა. დონეცკელებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს, იგრძნობოდა ნერვიულობა, ნელი ტემპი, კომბინაციათა სტანდარტულობა, გუნდი იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო მინიმალური ანგარიშით, ერთადერთი ბურთი „სერვეტის“ კარში გრაჩოვმა გაიტანა 85-ე წუთზე.

კიდევ უფრო სათუოა მოსკოვის სპარტაკელთა წარმატება ბირმინგემის „ასტონ ვილასთან“. ინგლისელმა ფეხბურთელებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს, მათს რიგებში გამოდიან გამოცდილი, ტაქტიკურად და ტექნიკურად მეტად ძლიერი მოთამაშეები. „ასტონ ვილა“ ამ მატჩში ორჯერ დაწინაურდა (გიბსონი, უოლტერსი), სპარტაკელებმა მხოლოდ საპასუხო ბურთების გატანა შეძლეს და ორივეჯერ ეს გააკეთა გავრილოვმა. მეორე ბურთი მან 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა 90-ე წუთზე.

**ტურის შეხვედრათა მიმოხილვა.**

პირველი, რაც უნდა ითქვას 19 ოქტომბრის მატჩების შესახებ, ისაა, რომ მსაჯები ევროპის საკლუბო ტურნირებში, პრინციპულად, გადაჭრით ებრძვიან არა მარტო უხეშობას, არამედ, საერთოდ, წესრიგის დარღვევის ყოველგვარ გამოვლინებას: დროის განზრახ გაჭიანურებას, სტანდარტულ მდგომარეობათა გათამაშებისას 9-მეტრიანი დისტანციის დაუცველობას, არბიტრთა გადაწყვეტილებებზე პროტესტის გამოხატვას და სხვა.

II წრის პირველი ტურის მატჩებიდან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ბუქარესტის „დინამოს“ დიდი წარმატება ისეთ აღიარებულ, გამობრძმედილ გუნდთან, როგორიცაა გფრ-ის „ჰამბურგი“. რუმინელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე პირდაპირ გაანადგურეს საქვეყნოდ აღიარებული გუნდი, აუგუსტინმა, მულტესკუმ და ორაცმა 3 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. შეინარჩუნებენ თუ არა რუმინელი ფეხბურთელები ამ წარმატებას, მომავალი გვაჩვენებს.

კვლავ წარმატებით ითამაშა საბერძნეთის „ოლიმპიაკოსმა“, რომელმაც ჯერ ჰოლანდიის ცნობილ „აიაქსთან“ გაიმარჯვა, მერე კი დაამარცხა ლისაბონის „ბენფიკა“ — 1:0, თუმცა ეს ანგარიში ჯერ კიდევ არაა მთლად საიმედო გარანტია „ოლიმპიაკოსისთვის“.

თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მოულოდნელობები არ მომხდარა თუ მხედველობაში არ მივიღებთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის „კიოლნის“ მარცხს სტუმრად უნგრეთის „უიპეშტ-დოჟასთან“ — 1:3.

უეფა-ს თასზე დიდ ინტერესს იწვევდა ჰოლანდიის „ეინდჰოვენისა“ და ინგლისის „ნოტინგემ ფორესტის“ შეხვედრა. ინგლისელმა ფეხბურთელებმა სტუმრად გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

### ჩემპიონთა თასი

**მერვედფინალი, I ტური**

**„რაბა“ ეტო (უნგრეთი) — „დინამო“ (მინსკი) 3:6.**

„დინამო“ (რუმინეთი) — „ჰამბურგი“ (გფრ) 3:0.

„ბოჰემიანსი“ (ჩეხოსლოვაკია) — „რაპიდი“ (ავსტრია) 2:1.

ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“ (ბულგარეთი) — „რომა“ (იტალია) 0:1.

„დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია) 2:0.

„ლივერპული“ (ინგლისი) — „ატლეტიკი“ (ბილბაო, ესპანეთი) 0:0.

„ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია) 1:0.

„სტანდარდი“ (ბელგია) — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) 0:0.

### თასების თასი

**მერვედფინალი, I ტური**

**„შახტიორი“ (დონეცკი) — „სერვეტი“ (შვეიცარია) 1:0.**

„ბევერენი“ (ბელგია) — „აბერდინი“ (შოტლანდია) 0:0.

„ჰამარბიუ“ (შვეცია) — „ჰაკა“ (ფინეთი) 1:1.

„პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია) 2:2.

„ნიიმეგენი“ (ჰოლანდია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 2:3.

„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „პორტო“ (პორტუგალია) 2:1.

„სპარტაკი“ (ვარნა, ბულგარეთი) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) 1:2.

„უიპეშტ-დოჟა“ (უნგრეთი) — „კიოლნი“ (გფრ) 3:1.

### უეფა-ს თასი

**მეთექვსმეტედფინალი, I ტური**

**„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ასტონ ვილა“ (ინგლისი) 2:2.**

„ანდერლეხტი“ (ბელგია) — „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) 2:0.

„აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — „ლავალი“ (საფრანგეთი) 2:0.

„გრონინგენი“ (ჰოლანდია) — „ინტერი“ (იტალია) 2:0.

„ჰონვედი“ (უნგრეთი) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) 3:2.

„ლანი“ (საფრანგეთი) — „ანტვერპენი“ (ბელგია) 2:2.

„ლოკომოტივი“ (გდრ) — „ვერდერი“ (გფრ) 1:0.

პაოკ (საბერძნეთი) — „ბაიერნი“ (გფრ) 0:0.

„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი) 1:2.

„რადნიჩკი“ (იუგოსლავია) — „ინტერი“ (ჩეხოსლოვაკია) 4:0.

„სპარტა“ (ჰოლანდია) — „კარლ ცაისი“ (გდრ) 3:2.

„სპორტინგი“ (პორტუგალია) — „სელტიკი“ (შოტლანდია) 2:2.

„ტოტენჰემი“ (ინგლისი) — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) 4:2.

„ვერონა“ (იტალია) — „შტურმი“ (ავსტრია) 2:2.

„ვიძევი“ (პოლონეთი) — „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) 1:0.

„უოტფორდი“ (ინგლისი) — „ლევსკი-სპარტაკი“ (ბულგარეთი) 1:1.

## დღეს ტელევიზიით

**საქართველოს** ტელევიზია დღეს საინტერესო გადაცემას სთავაზობს ფეხბურთის მოყვარულებს, რუბრიკით „ევროპის სტადიონებზე“ გადასცემს ფეხბურთში ევროპის საკლუბო გათამაშებათა მეორე წრის I ტურის მატჩებს. დასაწყისი 19 საათსა და 10 წუთზე.

● ჭადრაკი

## ტილბურგის ტურნირზე

ტილბურგის (ჰოლანდია) ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა დაამთავრეს პირველი ექვსი ტურის გადადებული პარტიები.

ა. კარპოვი ყაიმზე შეუთანხმდა რ. ჰიუბნერს, უ. ანდერსონი — ი. ტიმანსა და ი. სეირავანს, ჯ. ვან დერ ვილმა მოუგო ანდერსონს, ლ. ლიუბოევიჩმა — ტიმანს, სეირავანმა — რ. ვაჰანიანს. გადაიდო ვაჰანიანის პარტიები ბ. სპასკისთან და ლიუბოევიჩთან.

VII ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების კარპოვისა და ვან დერ ვილის შეხვედრა. ჰოლანდიელი მოჭადრაკე კარგად თამაშობდა სიცილიურ დაცვაში, მაგრამ მას არ ჰქონდა მტკიცე გეგმა. კარპოვი დაჯერებულად მიილტვოდა მიზნისკენ. თანდათან საგრძნობლად გააძლიერა თავისი პოზიცია, მაგრამ პარტია გადაიდო. სპეციალისტების აზრით, ვან დერ ვილს უიმედო მდგომარეობა აქვს.

პოლუგაევსკიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა სეირავანთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ ლ. პოლუგაევსკის 4 ქულა აქვს, ა. კარპოვს, ი. ტიმანს (ჰოლანდია) 3,5-3,5 და თითო გადადებული პარტია, ი. სეირავანს (აშშ) — 3,5, ლ. ლიუბოევიჩს (იუგოსლავია) — 3 (2), ლ. პორტიშს (უნგრეთი) — 3 (1), ბ. სპასკის — 2,5 (2), რ. ვაჰანიანს — 2 (3).

## საგზურები განაწილდა

მინსკში, ნიკოლაევში, ვოლგოდონსკსა და ირკუტსკში დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა 51-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები. 71 ცნობილი დიდოსტატი და ოსტატი იბრძოდა უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის 12 და I ლიგის შეჯიბრების 16 საგზურისთვის (თითოეულ ტურნირზე გამოყოფილი იყო სამი უმაღლესი და ოთხი I ლიგის ადგილი).

უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ: მინსკის ტურნირიდან — ა. ბელიავსკი (ლვოვი), ა. ვაიმანავინი (მოსკოვი), ვ. ეინგორნი (ოდესა) — 9,5-9,5 ქულა (16-დან); ვოლგოდონსკის ტურნირიდან — ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი) — 11, ი. [illegible]კოვი (ხარკოვი), ი. ელვესტი (ტალინი) — 10,5-10,5 (17-დან); ირკუტსკის ტურნირიდან — ს. ლპუტიანი (ერევანი), ა. ჩერნინი (ხარკოვი), ვ. ჩეხოვი (მოსკოვის ოლქი) — 10,5-10,5 (17-დან); ნიკოლაევის ტურნირიდან — ქ. ასეევი (ლენინგრადი), ა. მიხალჩიშინი (ლვოვი), ა. სოკოლოვი (მოსკოვი) — 11-11 (17-დან).

I ლიგაში თამაშის უფლება მიიღეს: მინსკის ტურნირში — ე. უბილავამ (თბილისი), ვ. გავრიკოვმა (ვილნიუსი), ვ. კუპრეიჩიკმა (მინსკი) — 9-9, ი. ბალაშოვმა (მოსკოვი) — 8,5 (16-დან); ვოლგოდონსკის ტურნირში — ზ. აზმაიფარაშვილმა (თბილისი), ბ. გულკომ (მოსკოვი), ა. ჰუსეინოვმა (ბაქო), ლ. იურტაევმა (ფრუნზე) — 9-9 (17-დან); ირკუტსკის ტურნირში — ე. პიგუსოვმა (კემეროვო) — 10,5, ა. ხარიტონოვმა (მოსკოვი) — 10, ი. პოლოვოდინმა (ლენინგრადი), ლ. ფსახისმა (კრასნოიარსკი) — 9,5-9,5 (17-დან), ნიკოლაევის ტურნირში — ვ. სალოვმა (ლენინგრადი) — 11, ქ. ლერნერმა (ოდესა) — 10, ს. მაკარიჩევმა (მოსკოვი), მ. პოდგაეცმა (ოდესა) — 9,5-9,5 (17-დან).

I ლიგის შეჯიბრებას 2-29 დეკემბერს ტალინი უმასპინძლებს.

საქართველოს წარგზავნილები სამ შესარჩევ ტურნირში მონაწილეობდნენ. მათგან მხოლოდ ე. უბილავამ და ზ. აზმაიფარაშვილმა შეძლეს I ლიგაში გასვლა. თამაზ გიორგაძემ ნიკოლაევში 8 ქულით IX-X ადგილები გაიყო, გ. ზაიჩიკმა ვოლგოდონსკში 7 ქულა მოაგროვა და XV-XVIII ადგილები გაიყო.

მინსკის ტურნირში მაია ჩიბურდანიძეც თამაშობდა, მაგრამ VI ტურის შემდეგ, როცა 3,5 ქულა (+1=5) ჰქონდა, იგი ბრძოლას გამოეთიშა, რადგან მანილაში ფიდე-ს 54-ე კონგრესის მუშაობაში უნდა მიეღო მონაწილეობა.

● ჩოგბურთი

## კორტებზე — ვეტერანები

დნეპროპეტროვსკში დამთავრდა ვეტერან ჩოგბურთელთა ტრადიციული საკავშირო პირადგუნდური ტურნირი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 14 გუნდის 100 ჩოგბურთელი მონაწილეობდა. პრიზების მაძიებელთა შორის იყვნენ: სოციალისტური შრომის გმირები, გამოჩენილი ავიაკონსტრუქტორი ო. ანტონოვი, დონეცკელი მ. ანოშკინი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლენინგრადელი ნ. სემიონოვა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, დნეპროძერჟინსკელი ვ. ვდოვინა. ჩვენი რესპუბლიკიდან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სპორტის ოსტატი ლ. მძინარიშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი გ. ლარიბაშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. სეილანოვი და სხვ.

გუნდური პირველობა ერგოთ კიეველ ჩოგბურთელებს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდში ქალები არ ჰყავდათ, საქართველოს წარმომადგენლები III საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

პირად შეჯიბრებაში, რომელიც მხოლოდ წყვილთა შორის გაიმართა, ყველას აჯობეს თბილისელმა ვეტერანებმა: მძინარიშვილმა და ლარიბაშვილმა.

ქალთა წყვილებში პირველი ადგილი დაიკავეს სემიონოვამ და ვდოვინამ.

ლარიბაშვილმა, რომელიც ვდოვინასთან ერთად შერეულ წყვილთა თანრიგში გამოდიოდა, III ადგილი დაიკავა.

სსრ კავშირის უძლიერესმა ვეტერანმა ჩოგბურთელებმა ქიმიკოსთა ქალაქიდან თელავში, ახლახან მწყობრში ჩამდგარ ჩოგბურთის კომპლექსის კორტებზე გადმოინაცვლეს. აქ, ვეტერანთა საკავშირო ტურნირზე საასპარეზოდ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონები ი. მოზერი და თ. ბაკშეევა, რ. სივოხინი (ყველა — კიევი), ა. დმიტრიევა (მოსკოვი), ა. ბოიცოვი (ლენინგრადი) და სხვები.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავენ წარსულში ცნობილი ჩოგბურთელები ლ. მძინარიშვილი, ვ. გოგლიძე, პ. მეტრეველი, გ. ლარიბაშვილი და სხვები.

**ა. მალაიანცი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

● კრივი

## „პალაცოს“ რინგზე

რომის „პალაცო დელა სპორტის“ ოლიმპიურ რინგზე, რომელსაც კარგად „ახსოვს“ XVII თამაშების ჩემპიონების მოსკოველ ს. გრიგორიევისა და თვით კასიუს კლეის შესანიშნავი გამოსვლები (პირველისა მჩატე, ხოლო მეორესი ქვემძიმე წონებში), გრძელდება მსოფლიოს თასის მესამე გათამაშება. საბჭოთა მოკრივემ — ნევინომისკელმა მსოფლიო ჩემპიონმა ი. ალექსანდროვმა (იგი ევროპის პირველი გუნდის ღირსებას იცავს) წარმატებით იასპარეზა და დამაჯერებლად სძლია იუგოსლაველ მეტოქეს, მჩატე წონის ს. ბუზოლის (ევროპა-2).

ალექსანდროვის თანაგუნდელმა, ლვოველმა ვ. კაჩანოვსკიმ (81 კგ) ოკეანიის გუნდის წარმომადგენელი, ახალზელანდიელი კევინ ბერი დაჯაბნა, ჩვენი კონტინენტის მეორე გუნდის წევრმა — ვ. დემიანენკომ კი კუბელ რ. გოირუსთან (ჩრდილო ამერიკის ნაკრები) დათმო გამარჯვება.

ჯერჯერობით ლიდერობს ევროპის პირველი ნაკრები, რომელშიც 7 საბჭოთა მოკრივე გამოდის.



სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონმა პენზელმა წყალში მხტომელმა ა. ლობანკინამ იტალიაში გამართულ ევროპის წყალში მხტომელთა ჩემპიონატზე 10-მეტრიან კოშკიდან ხტომაში უძლიერესის სახელი მოიპოვა. ვერცხლის მედალი წილად ხვდა მინსკელ ა. სტასიულევიჩს (მარცხნივ). სურათზე თქვენ მათ ხედავთ საჩვენებელი სინქრონული ხტომის დროს. საქდების ფოტო.

## მიზანი — გამარჯვება

ნიუ-იორკი. ცნობილმა ამერიკელმა მარათონელმა, მიუნხენის ოლიმპიადის გამარჯვებულმა და მონრეალის თამაშების ვერცხლის პრიზიორმა ფრენკ შორტერმა განაცხადა, რომ ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზეც მედლისთვის იბრძოლებს.

35 წლის სპორტსმენმა თქვა, რომ იგი ამჟამად, ფეხის მოტეხილობის შემდეგ, კვლავ შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია, რომ ყოველკვირას საშუალოდ 100 მილს დარბის და 23 ოქტომბერს აპირებს მონაწილეობა მიიღოს ნიუ-იორკის მარათონში. მას გადაწყვეტილი აქვს 11 დეკემბერს ჰონოლულუს შეჯიბრებაში 2 საათსა და 19 წუთში დაფაროს მარათონული დისტანცია და შეასრულოს საკვალიფიკაციო ნორმატივი, რაც აუცილებელია ოლიმპიადის საგზურისთვის. „თუ მე ვერ შევძლებ ამის მიღწევას ჰონოლულუში, ორი თვის შემდეგ კიდევ ერთხელ ვცდი ბედს, — ჩემი მიზანია გავხდე ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ჩემპიონი“, — დასძინა მან.

## ჯესი ოუენსის პრიზი...

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს მერი დეკერ-ტეიბს, როგორც აშშ-ის საუკეთესო სპორტსმენს, ჯესი ოუენსის სახელობის საპატიო პრიზი გადაეცა.

დეკერმა ჰელსინკში ოქროს მედლები მოიპოვა 1500 და 3000 მეტრზე რბენაში. ამავე დროს იგი არის 800-დან 10 000 მეტრამდე ჩათვლით რბენაში ყველა ეროვნული რეკორდის მფლობელი.

ჯესი ოუენსის სახელობის პრიზი პირველად 1981 წელს დაიმსახურა 400 მეტრზე თარჯმორბენალმა ედ მოზესმა, შარშან კი იგი სპრინტერსა და სიგრძეზე მხტომელს კარლ ლუისს მიანიჭეს.

(საქდები).

● ძალოსნობა

## ვინ როდის გამოვა?

დღეს მოსკოვის „იზმაილოვოს“ სპორტის სასახლის სარბიელზე სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი ძალოსნები ერთმანეთს შეეცილებიან მსოფლიო ჩემპიონობის საპატიო ტიტულებს. გთავაზობთ პირველობის პროგრამას:

22. ოქტომბერი. 52 კილოგრამამდე წონითი კატეგორია.

23 ოქტომბერი. 56 კილოგრამამდე წონითი კატეგორია.

24 ოქტომბერი. 60 კილოგრამამდე წონითი კატეგორია.

25 ოქტომბერი. 67,5 კილოგრამამდე წონითი კატეგორია.

26 ოქტომბერი. 75 კილოგრამამდე წონითი კატეგორია.

27. ოქტომბერი. 82,5 კილოგრამამდე წონითი კატეგორია.

28 ოქტომბერი. 90 კილოგრამამდე წონითი კატეგორია.

29 ოქტომბერი. 100 კილოგრამამდე წონითი კატეგორია.

30 ოქტომბერი. 110 კილოგრამამდე წონითი კატეგორია.

31 ოქტომბერი. 110 კილოგრამს ზევით წონითი კატეგორია.

ჩვეულებისამებრ ჩემპიონატს წინ უსწრებს ძალოსნობის ევროპისა (ევფ) და საერთაშორისო ფედერაციების (ივფ) კონგრესები. უკვე გაიმართა კონტინენტის კონგრესი, რომლის პრეზიდენტად არჩეულია ანდრე კორე (საფრანგეთი), ხოლო პირველ ვიცე-პრეზიდენტად — საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი გ. კარაპეტიანი.

● ფიგურული ციგურაობა

## „ქარვის ციგურების“ პრიზზე

რიგაში გაიმართა იუნიორთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება ფიგურულ ციგურაობაში „ქარვის ციგურების“ პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდა 6 ქვეყნის — ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გფრ-ის, უნგრეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის 60-მდე მოციგურავე.

ეს შეჯიბრება (I ტური) საბჭოთა სპორტსმენებისათვის, იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ (საპორო, 5-10 დეკემბერი) შესარჩევ ხასიათს ატარებდა (II ტური 15-20 ნოემბერს კრასნოიარსკში გაიმართება). სტარტზე ჩვენი რესპუბლიკიდან გამოდიოდნენ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის აღსაზრდელები, სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წევრები, სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები გუნდის წევრები ნელი დვალიშვილი და ანდრეი ტოროსიანი (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ირაკლი ჯაფარიძე).

ნ. დვალიშვილმა, რომელმაც ამასწინათ მუხლის მძიმე ტრავმა გადაიტანა, აქ ორჯერ იასპარეზა. სავალდებულო პროგრამაში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო მოკლე პროგრამაში მეოთხე შედეგი აჩვენა. ორი სახეობის ჯამში იგი მეორე ადგილზე იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ტრავმამ კვლავ იჩინა თავი და ხელიმ შეჯიბრება ვეღარ დაამთავრა.

გაგვახარა ა. ტოროსიანმა, რომელმაც სამჭიდის ჯამში II ადგილი მოიპოვა. საინტერესოა, რომ გასულ წელს ამავე გათამაშებაში იგი მეხუთე იყო.

დასანანია, რომ რიგის ასპარეზობისათვის მზადების პერიოდში ჩვენს სპორტსმენებს თბილისში ყოფნისას (17-29 სექტემბერი) ყინულზე ვარჯიშის საშუალება არ ჰქონდათ. საქმე ისაა, რომ თბილისის საციგურაო სპორტული სკოლის მოედანი თითქმის ნახევარი წელიწადია უქმად დგას სპორტის სასახლის სამაცივრო კომპრესორების მწყობრიდან გამოსვლის გამო. ნუ დაგვავიწყდება, რომ ზემოხსენებული სკოლის ყინულზე 300-მდე მოციგურავე ვარჯიშობს. ისინი მოუთმენლად ელოდებიან ციგურებზე დადგომას!

**ო. ოთარაშვილი.**

## სპორტულ გაზეთზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 22 ოქტომბერი. „ლოკომოტივის“ სტადიონი ვაკეში. „სპარტაკი“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი). დასაწყისი 15 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი). 16 ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და კრივის რესპუბლიკური ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრკ სპორტის ოსტატი კრივში

**ვლადიმერ რაფიელის ძე სილაგაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე — 07874